0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

**საქართველოს**
**სახალხო დამცველი**
**PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)**
**OF GEORGIA**

**11 ნოე 2025 წ.**

KA000094393069825

№ **25/9108**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფროსს
გიორგი პატარიძეს

N12 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების
დირექტორს
ზურაბ მოდებაძეს

## **რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა**

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი და ბატონო ზურაბ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] N8157/25 განცხადება, N12 პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საჯარო დაწესებულების მხრიდან ადგილი აქვს განმცხადებლის კონსტიტუციური უფლების დარღვევას.

**ფაქტობრივი გარემოებები:**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განსახილველ საქმეზე როგორც განმცხადებლის მიერ, ისე N12 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 23 სექტემბრის N272812/27 და 09.10.2025 წლის N291729/27 წერილებით წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა შემდეგი::

[redacted] 2025 წლის 25 აგვისტოს N01/290750 განცხადებით N12 პენიტენციური დაწესებულებიდან მიორიდ გამოითხოვა მისი 08.08.2025 წლის N226079/27 და 14.08.2025 წლის N232186/27

საჭროებისამებრ და ვიხაიდან დაწესებულებაში მას არ გააჩნია აღნიშნული დოკუმენტების ასლების გადაღების საშუალება, 2025 წლის 25 აგვისტოს N01/290750 განცხადებით განმეორებით მოითხოვა ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

განსახილველ საკითხზე, N12 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2025 წლის 23 სექტემბრის N272812/27 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ [redacted] განცხადებების (08.08.2025 წლის N226079/27 და 14.08.2025 წლის N232186/27) დედანი გაეგზავნა ადრესატს, ხოლო ასლები 20.08.2025 წელს გადაეცა მსჯავრდებულ [redacted]ს, რაც დადასტურებული იყო მისივე ხელმოწერით. ასევე, 09.10.2025 წლის N291729/27 წერილით N12 პენიტენციურმა დაწესებულებამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა, რომ [redacted]ის 08.08.2025 წლის N226079/27 და 14.08.2025 წლის N232186/27 განცხადებები იძებნებოდა N12 პენიტენციური დაწესებულების საქმისწარმოების პროგრამაში, თუმცა „პენიტენციური კოდექსის" და „N12 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 1 მაისის N526 ბრძანების თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაციას არ გააჩნდა ვალდებულება ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გადაეცა მის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის ასლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ N12 პენიტენციურმა დაწესებულებამ მსჯავრდებულ[redacted] მიაწოდა 08.08.2025 წლის N226079/27 და 14.08.2025 წლის N232186/27 განცხადებების ასლები, ხოლო მსჯავრდებულის მხრიდან იმავე ინფორმაციის განმეორებით მოთხოვნის შემდეგ აღარ გასცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია (მსჯვარდებულის განცხადების ასლები).

**სამართლებრივი დასაბუთება:**

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-18 მუხლი მე-2 პუნქტით დაცული ადამიანის უფლების - გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას - მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის მხოლოდ წაკითხვა ან ვიზუალაური დათვალიერება, მისი დანიშნულებაა იმგვარი მექანიზმის შექმნა, რომ დაინტერესებულმა პირმა გამოიკვლიოს მისი სისწორე, გაანალიზოს, გააკეთოს დასკვნები, გაავრცელოს ან/და გამოიყენოს ეს ინფორმაცია სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით.[1]

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) პრეამბულის 63-ე მუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს მასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება. მას უნდა შეეძლოს ამ უფლების მარტივად და გონივრული სიხშირით გამოყენება, რათა გაეცნოს ან შეამოწმოს დამუშავების კანონიერება. ამავე რეგულაციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს დამუშავებულ მონაცემთა ასლი. მონაცემთა სუბიექტის მიერ დამატებითი ასლების მოთხოვნის შემთხვევაში, დამმუშავებელი უფლებამოსილია დააწესოს გონივრული საფასური ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით. ასევე, „პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" საერთაშორისო ხელშეკრულების მე-8 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და გადაჭარბებული დაგვიანებისა თუ დანახარჯების გარეშე, მონაცემთა ავტომატიზებულ ფაილში მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასევე მისთვის მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს აღნიშნულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი. ასევე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან. მონაცემთა სუბიექტს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილი გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მითითებული მონაცემების ასლების გადაღებისთვის განსაზღვრული საფასური ფაქტობრივად დახარჯული რესურსის ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს. საფასურის დადგენის და მისი ოდენობის გონივრულობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

„პენიტენციური კოდექსის" 32-ე მუხლის თანახმად, პენიტენციური დაწესებულება არის დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და ფუნქციონირებს სამსახურის სისტემაში. პენიტენციური დაწესებულება მისთვის აღნიშნული კოდექსით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციების შესრულებისას არის ადმინისტრაციული ორგანო. „N12 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 1 მაისის N526

იუსტიციის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) სხვა სამართლებრივი აქტებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად კი ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

ამდენად, დგინდება, რომ N12 პენიტენციური დაწესებულება როგორც ადმინისტრაციული ორგანო „პენიტენციური კოდექსით" და დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების გარდა საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და მსჯავრდებულს ან სხვა პირს დაუსაბუთებლად არ შეუზღუდოს კონსტიტუციური უფლება.

განსახილველ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტი [redacted], დაინტერესებული იყო მის შესახებ არსებული ინფორმაციის მიღებით, რომელიც დამუშავებული იყო N12 პენიტენციური დაწესებულების მიერ და იძებნებოდა დაწესებულების საქმისწარმოების პროგრამაში. მართალია, დაწესებულებამ მსჯავრდებულს ერთხელ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულს კვლავ ესაჭიროებოდა აღნიშნული ინფორმაცია (მისივე განცხადების ასლები) და არასაპატიმრო დაწესებულებაში მყოფი პირებისგან განსხვავებით, შეზღუდული ჰქონდა/აქვს თავისუფალი წვდომა ინფორმაციის გავრცელების/გამრავლების/ასლის გადაღების საშუალებებზე, **საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მონაცემთა სუბიექტისთვის მის შესახებ არსებული ინფორმაციის (მსჯავრდებულის განცხადებების ასლების) განმეორებით მიწოდებაზე უპირობო უარი არაპროპორციული და კანონშეუსაბამოა და ინვევს მსჯავრდებულის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.**

**დასკვნა:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულ [redacted]ეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიაწოდოთ 2025 წლის 25 აგვისტოს N01/290750 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.[2]

მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ" II, პარ. 10.

[2] 08.08.2025 წლის N226079/27 და 14.08.2025 წლის N232186/27 განცხადებების ასლები.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი